საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 358

02 06 2017წ.

ქ. თბილისი

"საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 31 მაისის №349 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეესტრის სამმართველოს უფროსის, 2017 წლის პირველი ივნისის №578691 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. "საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2017 წლის 31 მაისის №349 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრის პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის, ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს, ცენტრის იურიდიული სამსახურის, ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოსა და ცენტრის რეესტრის სამმართველოს სტაჟიორების შერჩევის მიზნით, 2017 წლის 02 ივნისიდან 2017 წლის 12 ივნისის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი."

ბ) ბრძანების მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5.5. ქვეპუნქტი:

„5.5. ცენტრის რეესტრის სამმართველოში - 2 (ორი) ადგილზე სტაჟიორად მიიღებიან პირები, რომელთა კვალიფიკაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც სტაჟიორი სწავლობს არის: განათლების, სამართლის ან ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულება."

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა.

3. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე